

თორნიკე რამაზაშვილი

რუსეთი როგორც ხელისშემშლელი ფაქტორი საერთაშორისო  
ორგანიზაციების მიზნების აღსრულებაში



თბილისი, 2020

## წინასიტყვაობა

როდესაც ვკითხე, საერთაშორისო სამართლის ლექტორს, თუ რატომ არ დგება რუსეთის ფედერაციის წევრის სტატუსის შეწყვეტის საკითხი საერთაშორისო ორგანიზაციებში, ვინაიდან მან მრავალჯერ დაარღვია მათი წესდება თუ საერთაშორისო სამართლის ნორმები, მან ასე მიპასუხა, რომ რუსეთს ამგავსებენ იმ ძაღლს, რომელიც სახლშია, მუდმივად ყვეს და ყველას აწუხებს, ხოლო თუ მას გარეთ გაუშვებენ, ის აუცილებლად დაგლეჯს ყველას და შემდეგ მისი დაჭერა იქნება ძალიან რთული.

ყოველ შემთხვევაში, ეჭვგარეშეა, რომ დღეს რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს დიდ საფრთხეს მსოფლიოში, განსაკუთრებით კი საქართველოსთვის. მისი წარსული და აწმყო მოცულია სახელმწიფოებისთვის დამოუკიდებლობის წართმევით, უცხო ქვეყნების ტერიტორიების ანექსიით, ოკუპაციით, ხალხების ეთნოწმენდით, ეთნიკური კონფლიქტების გაღვივებითა და მრავალი უდანაშულო ადამიანის დაღვრილი სისხლით.

რუსეთის ფედერაცია წევრია ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორც არის გაერო, ევროპის საბჭო, ეუთო და სხვ. აღმაშფოთებელი ფაქტი, რომ ის ბოროტად სარგებლობს საკუთარი უფლებებით და იმპერიალისტური ზრახვების განსახორციელებლად არ ერიდება შეაფერხოს ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მსოფლიოში მშვიდობის, თანამშრომლობისა და სტაბილურობის განმტკიცებას.

დღევანდელ დროში კი სანქცია რჩება იმ ერთადერთ ღონისძიებად, რომლითაც ორგანიზაცია თუ ქვეყანა სჯის რუსეთს ჩადენილი სამართალდარღვევისთვის, ეს იქნება ეკონომიკური, სამხედრო თუ სხვა საკითხი. ეფექტურია თუ არა ეს მეთოდი, სანქცია მაინც რჩება ოქროს შუალედად, ფუჭ დეკლარაციებსა და ომის გამოცხადებას შორის.

## მშვიდობა, თანამშრომლობა, სტაბილურობა საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის კონტექსტში და რუსეთის ფედერაციის ფაქტორი

სოციალური და პოლიტიკური ტერმინების დანიშნულება და როლი საგრძნობლად დიდია საზოგადოების განვითარებასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში. ის, თავისი ცოდნით მნიშვნელოვნად განაპირობებს ადამიანებისთვის ცნობიერების ამაღლებას და ხელს უწყობს, გაეცნონ იმ ისტორიულ კონტექსტს, რომლის წიაღშიც იშვა თავად ტერმინი. ამ უკანასკნელმა, გარკვეულ შემთხვევაში სახე იცვალა, ჰპოვა განვითარების საკუთარი გზა და დღეს საზოგადოებას ეხმარება იმის გაცნობიერებაში, რომ ენობრივ-აზრობრივი საკითხი მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მშენებლობაში.

ისეთი ტერმინები, როგორც არის მშვიდობა, თანამშრომლობა და სტაბილურობა, გამოხატავენ პოზიტიურ ღირებულებებს და წარმოადგენენ იმ ფუნდამენტებს, რომელსაც ეყრდნობა საერთაშორისო სამართალი და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები. იმის ფონზე, რომ პიროვნების განუხრელი უფლებები, რომელთაც ინდივიდი იძენს დაბადებისთანავე და ძირითადად მოიცავს სამოქალაქო თავისუფლებებს, რომელიც შესაძლოა სრულად ვერ განხორციელდეს ზოგიერთ ქვეყნაში სათანადო რესურსების უქონლობის გამო, სწორედ ამიტომ, განსაკუთრებული ვალდებულებები ეკისრება ისეთ უფლებებს, როგორცაა მშვიდობა, განვითარება და ჰუმანიტარული დახმარება.

შესაძლებელია თუ შეაფერხონ აღნიშნული განსაკუთრებული ვალდებულები? რასაკვირველია. მაგალითად, არსებობს მშვიდობის როგორც ხელისშემშლელი, ასევე ხელისშემწყობი ფაქტორები. ხოლო კითხვა, რომელიც ჩნდება ჟღერს შემდეგნაირად ვის შეიძლება არ უნდოდეს მშვიდობა? მსოფლიო ისტორია, რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით უპასუხებდა შემდეგნაირად - ვინც მშვიდობას არ აღიქვამს ცივილიზაციის სიკეთედ და მზად არის საკუთარი ბოროტი ზრახვებისთვის, მშვიდობა გამოიყენოს შესვენებად, ომებსა და კონფლიქტებს შორის.

ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში, მშვიდობის დამყარება, ცნობილი ფილოსოფოსის, იმანუელ კანტის „მარადიული მშვიდობის“ თეორიას ემყარებოდა. ის მიზნად ისახავდა ყველა ქვეყნის მხრიდან რესპუბლიკურ მმართველობაზე გადასვლას, რომელიც მოასწავებდა მშვიდობის დამყარებას. დროთა განმავლობაში, მისი ნაშრომები გარდაიქმნა „დემოკრატიული მშვიდობის თეორიად“, რომლის მიხედვითაც, თუ ყველა ქვეყანაში დამყარდებოდა ლიბერალურ-დემოკრატიული რეჟიმები, ეს იქნებოდა გზა საყოველთაო მშვიდობის მიღწევისკენ. აღნიშნულ კონცეფცია შეიცავდა სიმართლეს, ვინაიდან მეოცე საუკუნის განმავლობაში დემოკრატიულ სახელმწიფოს შორის არცერთი ომი არ მომხდარა.

დღევანდელ დროში, არსებობს რამდენიმე ხედვა საერთაშორისო ურთიერთობებში, რომლებიც განსხვავებულად აფასებენ ანარქიას, როგორც უწყსრიგო მდგომარეობას საერთაშორისო სისტემაში. ის კონფლიქტების მუდმივი წყაროა, სადაც არ არსებობს მსოფლიო მთავრობა, რომელიც დაიმორჩილებდა სახელმწიფოებს. საპირწონედ კი არსებობს მდგომარეობა „ყველას ომი, ყველას წინააღმდეგ“, როგორც აღნიშნავდა ინგლისელი ფილოსოფოსი თომას ჰობსი, ის ვინც პოლიტიკისა და სახელმწიფო ძალაუფლების ფენომენს საკმაოდ რეალისტურად და პრაგმატულად უყურებდა.

შესაბამისად, მსოფლიო ისტორიაში სახელმწიფოთა შორის მშვიდობის მიღწევა ოდითგანვე დიდ სირთულეს წარმოადგენდა, მიუხედავად იმის გაცნობიერებისა, რომ ომს ყველასთვის მოაქვს ზიანი და მიუხედავად სურვილისა - თავიდან აერიდებიანთ ახალი ომები. სწორედ ასეთ ვითარებაში, ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით იქმნება ინსტიტუტები, რომლებიც ხელს უწყობენ თანამშრომლობას. განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 6 წელიწადში, ხელახლა მშვიდობის დამყარების მცდელობის სურვილით დაარსდა ახალი ორგანიზაციები, როგორც იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, ევროპის საბჭო და ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება, ის ერთ-ერთი სვეტი, რომლიდანაც შემდეგ დაიწყო ევროპის კავშირის შექმნა.

აღნიშნულმა ორგანიზაციებმა, მნიშვნელოვანად გაზარდეს სახელმწიფოთა შორის სოციალური, ეკონომიკური თუ სამხედრო ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც საგრძნობლად ამცირებდა კონფლიქტების შანსს. ორგანიზაციებს შესწევდათ ძალა, ხელი შეეწყოთ მეგობრული გარემოს არსებობისათვის. ხოლო რაც შეეხება მეორე მსოფლიო ომამდე არსებულ მცდელობას, მშვიდობის უზრუნველყოფის მიზანს ისხავდა ერთა ლიგაც, რომლის მიზანი იყო ერების კონსოლიდაცია, საერთაშორისო მშვიდობის მიღწევა და კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება. მას არ ჰყავდა საკუთარი შეიარაღებული ძალები, თითოეული სახელმწიფო იყენებდა ვეტოს უფლებას და მისი გადაწყვეტილებების შესრულება არ იყო სავალდებულო ხასიათის, მხოლოდ სახელმწიფოების თავისუფალ ნებასა და სურვილზე იყო დამოკიდებული.

გასაგებია, რომ თანამშრომლობის მცდელობები ვერ აღმოფხვრის ზოგადად კონფლიქტს, მაგრამ ის მოიცავს მის პრევენციას, პრობლემის გადაჭრის ძლიერ ძალისხმევას. ნიშანდობლივია ფაქტი, რომ ყველა დროში არსებობდნენ სახელმწიფოები, რომლებიც ბოროტი მიზნების განსახორციელებლად იყენებდნენ ორგანიზაციებს და მათ განიხილავდნენ არა მიზანს მშვიდობის, თანამშრომლობისა და სტაბილურობის მისაღწევად, არამედ ინსტრუმენტს, სადაც იმპერიალისტური ზრახვების მქონე ქვეყანა აუცილებლად დაჩაგრავდა და მიისაკუთრებდა მასზე სუსტს.

ამ ფაქტის ისტორიული კონსტატაციისთვის, აღსანიშნავია იმდროინდელი საქართველოს მცდელობა, გაწევრიანებულიყო ერთა ლიგაში და დაახლოებულიყო ევროპის ქვეყნებთან, მაგრამ გამოიკვეთა, ერთი მხრივ, რუსეთის ფაქტორი, მისი ინტერესები კავკასიის რეგიონისადმი და მათი წარმომადგენლის უარი, რის შედეგადაც საქართველო ვერ გახდა აღნიშნული ორგანიზაციის წევრი და მეტიც, რამდენიმე კვირაში აღმოჩნდა რუსეთის ანექსიის მსხვერპლი, ხოლო მეორე მხრივ, საერთაშორისო ორგანიზაციის პასუხი, რომ ერთა ლიგას მეტად გაუძნელდებოდა ახალი წევრების ტერიტორიების თავდასხმისაგან დაცვა და მათი საერთაშორისო უფლებების უზრუნველყოფა.

მომავალ წლებში, არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა საბჭოთა კავშირის ექსპანსიონისტური პოლიტიკის მუხტი, რომელიც პირდაპირ ახორციელებოდა ძალისმიერ მეთოდებს სახელმწიფოებზე და არ ერიდებოდა მათ პოლიტიკურ თუ ეკონომიკური მანიპულაციებსაც. ისტორია მთავარი მოწმეა იმისა, რომ „კომუნისტური მშვიდობა“ ნამდვილად არ წარმოადგენდა საყოველთაო მშვიდობას, არც ინტერნაციონალური კომუნისტური საზოგადოება შექმნიდა სტაბილურობასა და თანამშრომლობას. არამედ ეს იყო მცდელობა, მოექციათ მთლიანად სამყარო მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიურ ჩარჩოში, რომლის ძირითადი მიზანი იქნებოდა ინდივიდუალური თუ სახელმწიფოებრივი თავისუფლებების წართმევა, მასობრივი დანაშაულებები, რეპრესიები, ტერორი და მრავალი სხვა ბოროტება.

ასეთ ვითარებაში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებს დაეკისრა მისია, რომლის საგარეო პოლიტიკის არსი განისაზღვრა შემდეგნაირად, მას უნდა შეეკავებინა საბჭოთა კავშირიდან მომავალი ექსპანსიონიზმი და საფრთხე - კომუნიზმის გავრცელების და კომუნისტური რეჟიმების დამყარების სხვადასხვა სახელმწიფოებში. პრაქტიკულად, შეკავების პოლიტიკა გამოიხატა საბჭოთა კავშირის გარშემო ანტისაბჭოური სამხედრო თუ პოლიტიკური ბლოკების შექმნით (განსაკუთრებით აღსანიშნავია ნატო).

მიუხედავად ამისა, ცივი ომის დასრულების შემდეგ, ნატომ გამოავლინა კეთილი ნება და სურვილი, რათა ეთანამშრომლა რუსეთის ფედერაციასთან, რომელიც 1991 წლიდან დამყარდა. მომდევნო წლებში ალიანსმა რუსეთს არაერთი პარტნიორული ინიციატივა შესთავაზა, მაგრამ რუსეთმა გამოავლინა ბოროტი ნება და დაიწყო სერიოზული რყევების შექმნა ნატოსთან ურთიერთობაში. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია საქართველოში 2008 წელს მიმდინარე აგვისტოს ომი და 2014 წლის ყირიმის ანექსია, სადაც ნატომ რუსეთთან შეაჩერა პრაქტიკული თანამშრომლობა, ვინაიდან რუსეთისთვის მშვიდობის დამცველი როლი იყო ნამდვილად შეუსაბამო.



რაც შეეხება ერთა ლიგის ბედს, მან საქმიანობა დაასრულა ლიკვიდაციით, რომელმაც შემდეგ ასპარეზი დაუთმო გაერთიანებული ერების ორგანიზაციას საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფის საკითხში. წესდების პრეამბულაში აღნიშნეს ხელახალი მცდელობა მშვიდობის დამყარებისა და ომის უბედურების თავიდან აცილების: „ჩვენ, გაერთიანებულმა ხალხებმა, მტკიცედ გადავწყვიტეთ, თავიდან ავაცილოთ მომავალ თაობებს ომის საშინელი შედეგები, რომლებმაც სიცოცხლის მანძილზე ოჯერ მოუტანეს კაცობრიობას ენით აუწერელი მწუხარება..“ ხოლო მიზანი, რომელიც ისახავს საერთაშორისო მშვიდობის დაცვას, სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებასა და თანამშრომლობას, დარჩა ლაიტმოტივად.

გაერო ჰგავს ერთა ლიგას გარკვეულ ფუნქციებში. კერძოდ, მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება არ არის სავალდებულო ხასიათის. თუმცა მნიშვნელოვან როლს ასრულებს იმ მხრივ, რომ ისინი გამოხატავენ მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრს. გაეროს დროშის ქვეშ გაერთიანდნენ სამხედრო ნაწილები, რომელთაც ცისფერჩაფხუტიანებს უწოდებენ, მათი მიზანი კონფლიქტების დეესკალაციაა. რაც შეეხება ვეტოს უფლებას, ის შეიზღუდა და შემოიფარგლა მხოლოდ უშიშრების საბჭოს მუდმივი ხუთი წევრის პრეროგატივით - აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთის ფედერაცია და ჩინეთი. ერთი შეხედვით, ვეტოს უფლების შეზღუდვას უნდა გაერმატივებინა გადაწყვეტილებების მიღების პროცესი, ვინაიდან ამის გამო ერთა ლიგაში ხშირად ფერხდებოდა მნიშვნელოვანი საკითხები.

მიუხედავად, ორგანიზაციის მიერ მიღებული მრავალი მნიშვნელოვანი რეზოლუციისა, საბჭოთა კავშირმა და მისმა სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციამ, საერთო ჯამში ისარგებლეს ვეტოს უფლებით 140-ზე მეტჯერ და ხელი შეუშალეს დღემდე ისეთ მნიშვნელოვან პროცედურებს, როგორც იყო მაგალითად გაეროს სადამკვირვებლო მისია საქართველოში, რომლის ძირითადი მიზანია უმაღლესი კომისარის მიერ აფხაზეთში ადამიანების უფლებათა მონიტორინგი და ე.წ. „ადმინისტრაციული საზღვრის“ ზონაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ კონტროლი.

იმისთვის, რომ დღეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა შეძლონ გადაწყვეტილებების მიღება, საჭიროა მხოლოდ სახელმწიფოების თავისუფალ ნებაზე დამყარებული ხმათა უმრავლესობა. აღსრულებისთვის კი მათი კეთილსინდისიერება. ყოველთვის, როდესაც საუბარია ორგანიზაციების ფუნქციებზე, მიზნებსა თუ ზოგადად დანიშნულებაზე, სვამენ შემდეგი სახის კითხვას, რატომ არ შეიძლება მიღებული გადაწყვეტილებები იყოს სავალდებულოდ შესასრულებელი თითოეული სახელმწიფოსთვის? სადაც იარსებებს მათთვის შეზღუდული ფუნქციები, მაგრამ აღსრულება იქნება ეფექტური და ქმედითუნარიანი. ამის პასუხი მდგომარეობს შემდეგში - ქვეყნები ეჭიდებიან საკუთარ სუვერენულ პრეროგატივებს და სულაც არ არიან მზად, გაუზიარონ ის საერთაშორისო ორგანიზაციებს.

მაგრამ, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციების დანიშნულებაა, მშვიდობის, თანამშრომლობის და სტაბილურობის უზრუნველყოფა, განა შეიძლება სუვერენულობა იყოს მათზე აღმატებული? როგორც წესი, მშვიდობა ყველასთვის დადებითი და საჭირო მოვლენა უნდა იყოს. მაგრამ ეს რომ ასე არ არის, ფაქტია, ვინაიდან არსებობენ სახელმწიფო აქტორები, რომელთაც არ სურთ სტაბილურობის შექმნა და სარგებლობენ მსოფლიოში შექმნილი პოლიტიკური ქაოსით.

ყოველშემთხვევაში, სამთავრობოთაშორისო ერთობები, ინარჩუნებენ თავიანთ სუვერენულობას. ისინი მაინც ფლობენ გარკვეულ ზეეროვნულ ელემენტებს, მაგალითად; საპარლამენტო ასამბლეები, სადაც ეროვნული დელეგაციები შებოჭილები არ არიან თავიანთი მთავრობების ინსტრუქციებითა და პოლიტიკური მიდგომებით, ასევე კენჭისყრის წესები, რომელიც იძლევა ცალკეულ გადაწყვეტილებათა ხმების უმრავლესობით მიღებულ საშუალებებს, აღსანიშნავია ზეეროვნული სასამართლოც, რომლის იურისდიქცია ადამიანის უფლებებით შემოიფარგლება და მრავალი სხვა.



კომუნისტური დიქტატორული რეჟიმების დაცემისთანავე, დაფლეთილი ევროპისთვის, დემოკრატიული ფასეულობების განვრცობაში დიდი წვლილი მიუძღვის ევროპის საბჭოს, რომელმაც სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საკითხში ითამაშა უდიდესი როლი. მისი მიზანია, დემოკრატიული იდეალებისა და პრინციპების დაცვის მიზნით, შეაკავშიროს მისი წევრები უფრო მჭიდროდ და შესაბამისად ხელი შეუწყოს მათ ეკონომიკურ თუ სოციალურ განვითარებას. ვინაიდან ამ დროს, უკვე არსებობდა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია, ბუნებრივია, რომ ეროვნული თავდაცვის საკითხს გვერდი აუარეს. ამავდროულად, ნეიტრალურ სახელმწიფოებს არ ექნებოდათ სურვილი გაწევრიანებულიყვნენ სამხედრო გაერთიანებაში.

ორგანიზაციაში წევრობისთვის აუცილებელია, რომ სახელმწიფო მოქცეული იყოს ევროპის ზოგადად აღიარებულ საზღვრებში, იზიარებდეს დემოკრატიულ ფასეულობებს, რომელსაც ეფუძნება ორგანიზაცია და გააჩნდეს ევროპისადმი კუთვნილების შეგრძნება. ხოლო რაც შეეხება ორგანიზაციის ბიუჯეტს, საწევრო შენატანის საკითხში რუსეთის ფედერაცია წარმოადგენს ერთ-ერთ „ძირითად შემომტანს“, რომელიც პროპორციულად ფლობს შესაბამისი რაოდენობის ადგილებს საპარლამენტო ასამბლეაში.

ევროპის საბჭომ მისი მოღვაწეობის განმავლობაში, არაერთხელ გამოუცხადა უკმაყოფილება რუსეთის ფედერაციას, მაგალითად ჩეჩნეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტის გამო. საპარლამენტო ასამბლეამ დაადანაშაულა ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაში. მიუხედავად ამისა, ევროპის საბჭომ გამოავლინა კეთილი ნება და მისცა შანსი, რათა შეეცვალა რუსეთს მოქმედებები და გაეტარებინა სასიკეთო ცვლილებები, მაგრამ რადგან შეუცვლელია მისი იმპერიალისტური ხასიათი და ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითი იყო 2014 წლის ყირიმის ანექსია, საპარლამენტო ასამბლეამ მას ხმის მიცემის უფლება ჩამოართვა.

ნიშნავს თუ არა რამეს, საერთაშორისო ორგანიზაციებში სახელმწიფოებისთვის ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა, ან რამდენად ცვლის სანქცია არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას, რა ლეგიტიმური საშუალება რჩება იმისთვის, რომ აიძულო სახელმწიფო შეცვალოს მისი ქცევა კონკრეტულ, ჩადენილ სამართალდარღვევასთან მიმართებით, ამ და სხვა კითხვებს აქვთ, არათუ არსებობის, არამედ აქტუალურობის უფლებაც. დამსჯელობითი ღონისძიებების, უფრო ზუსტად კი, სანქციების პოლიტიკის გატარება უკავშირდება ერთა ლიგას. დღეს აღნიშნულ უფლებას ფართოდ იყენებენ ორგანიზაციები თუ სახელმწიფოები.

რაც უფრო გადის დრო, მით უფრო კომპლექსური ხდება სანქციის ბუნება. ის არ შემოიფარგლება მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური სფეროს შეზღუდვით, არამედ ეხება ისეთ თემებს, როგორც არის დიპლომატიურ დონეზე საკონსულო შეზღუდვების გაუქმება, კონკრეტული პირის თუ პირთა ჯგუფისთვის პირადი საბანკო ანგარიშების გაყინვა, სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შეწყვეტა თუ სხვა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის უსაფრთხოებასთან, განვითარებასთან და ზოგადად მის სიცოცხლისუნარიანობასთან.

აღნიშნული ღონისძიების გატარების ძირითადი ეფექტია ცვილებები ხელისუფლების მხრიდან. გვერდითი ეფექტი თავად მოსახლეობაა, რომელზეც აისახება ესა თუ ის სანქცია და ბუნებრივად წარმოშობს მათში პროტესტის, უკმაყოფილების განცდას, რომელიც შემდეგ მიემართება მმართველი ხელისუფლებასადმი. არსებობს უარყოფითი ეფექტიც, იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა მოექცევა სხადასხვა სოციალურ, ეკონომიკურ თუ სამხედრო წნეხში და ამ უკანასკნელმა მუქარის მიზნით დატოვა ესა თუ ის საერთაშორისო ორგანიზაცია, კერძოდ მისი მოქალაქეები ვერ იქნებიან მოსარჩელები საკუთარი ქვეყნის წინაშე და ვერ ისარგებლებენ საერთაშორისო-სამართლებრივი უფლებით, რაც ცხადია ართულებს ადამიანის უფლებათა მდგომარეობას. დღეს აღნიშნული მუქარა ხდება მანიპულაციის საშუალება სახელმწიფო აქტორების მხრიდან.

როგორც უკვე აღნიშნულია, მანიპულაციის საგანი ხდება ის უპირატესობა, რომლითაც სარგებლობენ ესა თუ ის ქვეყნები საერთაშორისო ორგანიზაციებში. ამ მხრივ, გამონაკლისს არ წარმოადგენს არც ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში რუსეთის ფედერაციის მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიქმნა ევროპაში კონფლიქტების თავიდან აცილების, კრიზისების მართვის, კონფლიქტის შემდგომი რეალბილიტაციის მიზნით და მისი ფორმატი, ხელს აძლევს სახელმწიფოებს, მაგალითად კი საქართველოს, გამოიყენოს ეს არხი აქციოს საერთაშორისო თანამეგობრობისთვის რეალური ინფორმაციის წყაროდ, რასაც უნდა მოყვეს შესაბამისი დარეგულირება, მაგრამ მეორემხრივ რუსეთი იყენებს მის უფლებას და 2009 წელს წყვეტს ეუთოს სადამკვირვებლო მისიას საქართველოში.

მანამდე კი, ჟენევის მოლაპარაკებებზე მიღწეული იყო შეთანხმება კონფლიქტის ყველა მხარეს შორის რეგულარული შეხვედრების გამართვის შესახებ. ამგვარი შეხვედრები მხარეებს შორის ნდობისა და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, კონკრეტული ინციდენტებისა და საკითხების განხილვას და მოგვარებას ისახავდა მიზნად. მოცემული ფორუმის ფარგლებში, რომელიც „ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის“ სახელით არის ცნობილი, რიგი შეხვედრები ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის, გაეროს, ეუთოს, საქართველოს, რუსეთის, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მონაწილეობით შედგა.

2019 წლის ივლისში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიური სესიის ფარგლებში მიიღეს ლუქსემბურგის დეკლარაცია, რომელშიც შევიდა რეზოლუცია საქართველოს შესახებ სახელწოდებით, რეზოლუციის პრეამბულა კიდევ ერთხელ ადასტურებს მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. რაც შეეხება ეუთოს მისიას საქართველოში, ის ჯერჯერობით არ აღდგენილა.

## ბოლოსიტყვაობა

„ჩვენ უნდა შევქმნათ ევროპის შეერთებული შტატების მსგავსი რამ.. თუკი თავდაპირველად ევროპის ყველა სახელმწიფო არ ისურვებს ან ვერ შესძლებს მის წევრობას, ჩვენ, ამის მიუხედავად, გავაგრძელებთ მის შეკავშირებას და თავმოყრას, რომელთაც სურთ და შეუძლიათ... ამ გადაუდებელ წამოწყებაში საფრანგეთმა და გერმანიამ უნდა იკისრონ პირველობა. დიდმა ბრიტანეთმა, ბრიტანულმა ერთა თანამეგობრობამ, ძლევამოსილმა ამერიკამ და ვიმედოვნებ, საბჭოთა რუსეთმა, ამ შემთხვევაში კი მართლაც რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა ახალი ევროპის მიმართ უნდა გამოიჩინონ კეთილგანწყობა და სპონსორობა და უნდა დაიცვან მისი სიცოცხლის უფლება. მაშ ასე გეტყვით, მე გეტყვით თქვენ - „დაე აღდგეს ევროპა!“.

უინსტონ ჩერჩილის საოცნებო გაერთიანებული, კონტინენტური ევროპა, რომელშიც არ მოიაზრებოდა არც დიდი ბრიტანეთი, არც საბჭოთა კავშირი, არამედ რაღაც სხვა, უნივერსალური და საყოველთაო, ჯერჯერობით აუხდენელი დარჩა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების შრომა, რომელთაც მიუძღვით გარკვეული წვლილი, საერთაშორისო პრობლემების ერთობლივ გადაჭრაში.

ბუნებრივია, რომ თითოეული სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი სარგებლობს უფლებით, გაწევრიანდეს ამა თუ იმ საერთაშორისო ორგანიზაციაში წესდების გათვალისწინებით, თუკი ის არ ასრულებს გარკვეულ ნაკისრ ვალდებულებებს, მას შეუჩერდება წევრის სტატუსი, ხოლო წევრი სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, სახელმწიფო დაემსგავსება საჯინიბოდან გაქცეულ იმ ცხენს, რომლის კარების დაკეტვასაც აზრი აღარ აქვს. თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკა კი მაქსიმალურად ორიენტირებული უნდა იყოს არსებული მდგომარეობიდან უკეთესი გამოსავლის ძიებაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, 2004.
2. პოლიტიკური თეორია, გამომცემლობა „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“, 2006
3. საქართველოს ისტორია : XX საუკუნე - გამომცემლობა არტანუჯი - თბილისი, 2003
4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი.
5. ევროპის საბჭოს სამართალი, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, 2005 წელი.
6. [https://eumm.eu/ge/about\\_eumm](https://eumm.eu/ge/about_eumm)
7. <https://mfa.gov.ge/News/euto-s-saparlamento-asambleis-28-e-yovelcliuri-ses.aspx>
8. <https://www.amerikiskhma.com/a/russia-claims-success-in-south-ossetias-peacekeeping-operation/3958807.html>
9. <https://www.securitycouncilreport.org/un-security-council-working-methods/the-veto.php>
10. <https://research.un.org/en/docs/sc/quick>